ხელშეკრულება № 2016/12

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

თბილისი „31" „დეკემბერი" 2015 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად" წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **ალექსანდრე ტაბატაძის** სახით და **შპს „თბილი სახლი"** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის **მალხაზ კურტანიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - პირები, რომლებიც ახორციელებენ შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება" - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

ელექტრო და მექანიკური სისტემების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV - 50700000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **9582.00 (ცხრა ათას ხუთას ოთხმოცდაორი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: თბილისი, გორგასლის ქ. 24) არსებული ელექტრო და მექანიკური სისტემების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება ხელშეკრულების დანართის (ტექნიკური დავალება) შესაბამისად, 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2. ინსპექტირებას განახორციელებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩევლები - ზვიად ვეკუა და ზაზა გურასპაშვილი, რომლებიც უფლებამოსილები არიან ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად;

5.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

7.2. დაფინანსების წყარო - 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

7.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, შემოსავლების სამსახურიდან შესაბამისი ცნობის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ერთეულ დაღვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.3 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში 12.1 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2016 წლის 10 მარტის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,	**შპს „თბილი სახლი",**
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის	წარმოდგენილი დირექტორის
ალექსანდრე ტაბატაძის სახით,	**მალხაზ კურტანიძის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24ა,	**მისამართი:** ქ. თბილისი, კოსტავას გამზ. 76,
ტელეფონი: 240-58-15,	**ტელეფონი:** 231 15 25,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.	**საბანკო რეკვიზიტები:**
№GE24NB0330100200165022,	ანგ. №GE19BG0000000175579101,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22,	სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22,
ს/კ – 203845349	ს/კ - 204976179
---	---

ტექნიკური დავალება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში არსებული მოწყობილობებისა და სისტემების ჩამონათვალი:

• საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა (მისამართი: თბილისი, გორგასლის ქ. 24ა)

BMS მართვის კომპიუტერი - 1ც (Hp-p5)
AHU - 2ც (Ferroli-ს წარმოების)
ჩილერი - 2ც (Ferroli-ს წარმოების, 470 კვ)
ქვაბი - 2ც (Ferroli-ს წარმოების, kd-1, 1000კვ)
ტუმბო - 6ც (Dab-ის წარმოების)

გაგრილება:	გათბობა:
23,3 კვ-125/33	20,2 კვ 125/33
23,3 კვ-125/33	20,2 კვ 125/33
25 კვ -175/31	20,2 კვ 125/33

გენერატორი - 1ც (Perkins-ის წარმოების, 1200 კვ/ა)
სასმელი წყლის ტუმბო - 2ც (Dab-ის წარმოების, 2კვ 90/100, 5,4კვ 90/100).
სახანძროს ტუმბო (Dab-ის წარმოების, 1kdi-40-250/230T 15კვ)
მკვებავი -1ც (Dab-ის წარმოების, ED 2,5T 1,8კვ)
სპლიტკონდენციონერი - 4ც (Ferroli-ს წარმოების)
UPS—SOKOMEK - 1ც (150 კვ/ა)
ფანკოილი - 163ც (Ferroli-ს წარმოების)
მერკური - 20ც (Ferroli-ს წარმოების)
გამწოვი ვენტილიატორი - 18ც (Midea-ს წარმოების, 18,5კვ)
საავარიო გამწოვი - 5ც (Ferroli-ს წარმოების, cv150)
წყლის გამათბობელი - 20 ც (Termex-ის წარმოების)
სახანძრო სიგნალიზაციის ფარი - 1ც (Arena-ის წარმოების, 5 zone, 250 detector)
გამწოვი - 20ც (Siemens-ის წარმოების, სიმენსის GT აგრეგატები)
ლიფტი - 3ც (Mitsubishi)
სამეთვალყურეო კამერა - 68ც (DH HAC – HDW2100S)
სამეთვალყურეო კამერა - 12ც (DH HAC HFW2100S)
სამეთვალყურეო კამერა - 4ც (PTZ, 12v)
სამეთვალყურეო კამერა - 2ც (KT&C, KPC-DN3011PUC)
DVR – 5ც (DH GCVRS216A)
DVR – 1ც (Nadatel N-0441L)
მყარი დისკი -10ც (HDD 4TB)
კამერების ბლოკები - 40ც (SKS-35-12)
ხანძარ საწინააღმდეგო სისტემა
წყალმომარაგების სისტემა
ტურნიკეტი - 3 ცალი
ავტომატური ბარიერი (შლაგბაუმი) – 3ცალი (Signo)

გასაწევი მომსახურება:

- **გათბობის სიტემის მომსახურება:**

✓ გათბობის ცენტრალური დანადგარის (ქვაბი) ყოველდღიური მონიტორინგი;
✓ გათბობის ცენტრალური დანადგარის და მთლიანი სისტემის გამორეცხვა (ერთჯერადად) შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;
✓ სისტემაში წყლის ან გლიკოლის წნევის კონტროლი;

✓ საცირკულაციო დანადგარების კონტროლი რათა არ მოხდეს გახურება ან არ გამოვიდეს მწყობრიდან საკისრები;

✓ გათბობის დანადგარის (ფანკოილი) ფილტრების გასუფთავება;

- **გაგრილების სიტემის მომსახურება:**

✓ გაგრილების ცენტრალური დანადგარის ყოველდღიური მონიტორინგი;

✓ გაგრილების ცენტრალური დანადგარის და მთლიანი სისტემის გამორეცხვა (ერთჯერადადშემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად) და რადიატორების გასუფთავება საჭიროებისამებრ;

✓ სისტემაში წყლის ან გლიკოლის წნევის კონტროლი;

✓ საცირკულაციო დანადგარების კონტროლი რათა არ მოხდეს გახურება ან არ გამოვიდეს მწყობრიდან საკისრები;

✓ გაგრილების დანადგარის (ფანკოილი) ფილტრების გასუფთავება;

- **ვენტილაციის სიტემის მომსახურება:**

✓ ვენტილაციის ცენტრალური დანადგარის ყოველდღიური მონიტორინგი;

✓ ვენტილაციის დანადგარზე ფილტრების გასუფთავება;

✓ დანადგარზე უნდა შემოწმდეს ღვედები და ასევე ძრავი;

- **BMS სიტემის მომსახურება:**

✓ ცენტრალური მართვის ბლოკების (H7) და პროცესორების მუშაობის კონტროლი;

✓ ასევე ესაჭიროება ყოველ საათობრივი მონიტორინგი რათა ხარვეზი აღმოჩენილ იქნეს ვიდრე იგი დააზიანებს სისტემას;

- **ელ. სიტემის მომსახურება:**

✓ ელ. ფარების ყოვლკვირეული მონიტორინგი;

✓ სადენების შემოწმება რათა არ გახურდეს და არ დაიწვას;

✓ ამომრთველების გასუფთავება მტვრისაგან;

✓ პერიოდულად დენის ძალის (ამპერაჟის) კონტროლი;

✓ ნათურების, ჩამრთველების და შტეფსელების შეცვლა;

- **ლიფტების მომსახურება:**

✓ შაზების და საგორავების გაწმენდა მტვრისაგან და შეპოხვა;

✓ რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევებში შეკეთება ან/და ტექნიკური მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

- **ტურნიკეტებისა და შლაგბაუმების მომსახურება:**

✓ გეგმიური ტექნიკური შემოწმება;

✓ რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევებში შეკეთება ან/და ტექნიკური მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

- **სახანძრო სიტემის მომსახურება:**

✓ ყოველდღიური მონიტორინგი;

✓ პერიოდულად დეტექტორების დასუფთავება;

✓ სახანძრო წყლის სიტემის თვეში ერთხელ აღგზნება;

- **წყალმომარაგების სიტემის მომსახურება:**

✓ წყლის წნევის რეგულირება;

✓ წნევის შემქმნელი ტუმბოების შემოწმება;

✓ წყლის ფილტრების გასუფთავება ან შეცვლა;

✓ წყლის რეზერვუარის გამორეცხვა საჭიროებისამებრ;

- გენერატორის მომსახურება:

✓ ჰაერის ფილტრების, ზეთის, ზეთის ფილტრების, ტენების, ტენის საცირკულაციო ძრავის და აკუმულიატორების დროულად შეცვლა ან შეკეთება;

✓ საავარიო გაშვება ორჯერადად;

- სამეთვალყურეო სისტემის მომსახურება:

✓ მონიტორინგი, კამერების გაწმენდა, გასწორება, მცირე დაზიანებების აღმოფხვრა, გარდა საგარანტიო პირობებით გათვალსწინებული მომსახურებისა.

- მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მცირე დაზიანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით.
- მომსახურების გაწევის პროცესში შემსყიდველისთვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სრულად, საკუთარი ხარჯებით. აღნიშნული ზიანის წარმოშობის შემთხვევაში, ზიანის აღმოფხვრა უნდა განხორციელდეს შემსყიდველთან შეთანმხებით გონივრულ ვადაში.

შენიშვნა: გარდა ამისა, ყოველდღიურად შეიძლება წარმოიშვას გაუთვალისწინებელი და დაუგეგმავი სამუშაო. შეიძლება ცენტრალური დანადგარები გამოვიდეს მწყობრიდან, ძრავებს, კონდენსატს, ფანკოილებს შეექმნას პრობლემა, დენის წყაროებთან დაკავშირებით წარმოიქმნას პრობლემა და ა.შ.

აღნიშნული მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის მინიმალური რაოდენობები:

- სერვისის სამსახურის ხელმძღვანელი - არანაკლებ 1 (ერთი) პერსონა, ყოველდღიურად (შაბათ-კვირის გარდა) 9:00სთ-დან 19:00სთ-მდე.

- მექანიკოსი - არანაკლებ 1 (ერთი) პერსონა, კვირა დღის გარდა ყოველდღიურად 09:00სთ-დან 20:00სთ-მდე

- ელექტრიკოსი - არანაკლებ 3 (სამი) პერსონა, ყოველდღიურად ერთ-ერთი პერსონა შაბათ-კვირის ჩათვლით 24 სთ-ის განმავლობაში.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ტაბატაძის სახით, ს/კ – 203845349	შპს „თბილი სახლი“, წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით, ს/კ – 204976179
---	---

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2015 წლის „31" „დეკემბერი"

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საწვავის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შპს „თბილი სახლი"-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მინისტრის მოადგილე	_____	ალექსანდრე ტაბატაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის	_____	ვასილ ჯანჯღავა
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	_____	ნათია ლომაურიძე
ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	_____	იულია ტყეშელაშვილი
ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მრჩეველი	_____	გიორგი ორჯონიკიძე